ოქმი:**ო02.37221191**

თარიღი:**29/04/2022**

ოქმი № 11

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

20022 წელი, 28 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14.30-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. მახარაძე, გ. სირაძე, ნ. სარჯველაძე, თ. ნიკოლაშვილი, გ. შილაკაძე, ტ. აროშიძე, ნ. ურუშაძე, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი : ბექა თოიძე

თანამომხსენებელი : ვალერი კირკიტაძე

2. ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი : ბექა თოიძე

3. „ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის განკუთვნილი საავტომობილო გზების სიის დამტკიცების, საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის დაგეგმარების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილებიის შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხრდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

5. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების მდგომარეობის თაობაზე, ვრცლად ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა, შ.პ.ს „სატისი“-ს წარმომადგენელმა ვ. კირკიტაძემ, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა თანამომხსენებელმა, კომისიის წევრებმა დადებითი შეფასება მისცეს შ.პ.ს „სატისის“ მიერ გაწეულ საქმიანობას და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.თოიძემ მოკლე ინფორმაცია მიაწოდა კომისიის წევრებს ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირებაში არსებული მდგომარეობის შესახებ. აღნიშნა, რომ მდგომარეობა არასახარბიელოა, მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. კომისიის წევრებმა გამოთქვეს რამდენიმე საინტერესო მოსაზრება და ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი-„ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე სატრანსპორტო საშუალების პრაქტიკული მართვის სწავლებისათვის განკუთვნილი საავტომობილო გზების სიის დამტკიცების, საგზაო ნიშნებისა და მონიშვნის დაგეგმარების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 ივლისის N48 განკარგულებაში ცვლილებიის შეტანის თაობაზე“- კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე წარდგენას განხილვა დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს გააცნო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი-„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხრდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და გადაწყვიტეს, რომ მხარი დაუჭირონ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუროს და საკრებულოს სხდომებზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ანასეულის წყალსადენის მშენებლობისას, მიწის მესაკუთრეთა დაზიანებული ღობეების აღდგენის თაობაზე განცხადება გააკეთა მოქალაქე აკ. თავდუმაძემ, განუმარტეს, რომ ამ საკითხის თაობაზე მშენებელ კომპანიაში გაგზავნილია წერილი და ელოდებიან პასუხს.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 3, 4 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოსა და ბიუროს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. N 1, 2 -საკითხები მიღებულ იქნეს ცნობად.

3. კომისიაში შემოსული წერილი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (ა. თალაკვაძე).

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი